საგრანტო ხელშეკრულება №___

ერთი მხრივ, **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წარმოდგენილი ---------- მიერ** (შემდგომ – „გრანტის გამცემი“), მისამართი: ინგოროყვას ქ.7, თბილისი 0114, საქართველო, და,

მეორე მხრივ, **ა(ა)იპ/ფიზიკური პირი „_____“, წარმოდგენილი ----------**ის მიერ (შემდგომ – „გრანტის მიმღები“), მისამართი: _____, დებენ საგრანტო ხელშეკრულებას (შემდგომ – „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს ხელშეკრულება ეფუძნება „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონს, „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გრანტის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის -- ივნისის N-- განკარგულებას, „საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომა - საგრანტო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2024 წლის 02 ივლისის №23 ბრძანებას და ამავე ბრძანებით დამტკიცებულ საგრანტო კომისიის 2024 წლის ___ _____ №___ გადაწყვეტილებას.

მუხლი 2. ხელშეკრულების მიზანი და საგანი

2.1. გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს, როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულს, გადასცემს ფულად სახსრებს პროექტისათვის „საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომა“ (შემდგომ – „პროექტი“), რომელიც განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე და მიზნად ისახავს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში აქტივობების განხორციელებას ხელშეკრულების დანართი №2.1-ის („საგრანტო წინადადება“) შესაბამისად.

2.2. გრანტის მიმღები პასუხისმგებელია პროექტის მართვაზე, განხორციელებაზე, ხარისხის კონტროლზე, შიდა მონიტორინგზე, პროექტის შედეგების შეფასებაზე, პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილი „საგრანტო წინადადების“ (დანართი №2.1), სამოქმედო გეგმის (დანართი №2.2), ბიუჯეტის (დანართი №2.3), აგრეთვე, ანგარიშგების ფორმისა და წესის (დანართი №2.4) შესაბამისად.

მუხლი 3. საგრანტო თანხის მოცულობა და ანგარიშსწორების პირობები

3.1. გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებზე გასაცემი საგრანტო თანხა შეადგენს **00.000 (*თანხა სიტყვიერად*)** ლარს;

3.2. გრანტის გამცემის მიერ საგრანტო თანხის გადარიცხვა მოხდება ორ ეტაპად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე. პროექტის საუკეთესო მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, გრანტის გამცემთან შეთანხმებით შესაძლებელია, გადაირიცხოს დამატებითი ტრანში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგრანტო თანხის ფარგლებში.

3.3. პირველი ეტაპის საგრანტო თანხა განისაზღვრება გრანტის მიმღების მიერ წერილობთი მომართვის საფუძველზე, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა, განსახორციელებელი აქტივობების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. თანხის გადარიცხვა განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მიმღების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნიდან 2 (ორი) კვირის ვადაში.

3.4 მეორე ეტაპის განსახორციელებლად საჭირო საგრანტო თანხის მოთხოვნის უფლება გრანტის მიმღებს წარმოეშვება პირველი ეტაპის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.5 3.4. პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ, მეორე ეტაპის საგრანტო თანხა განისაზღვრება გრანტის მიმღების მიერ წერილობითი მომართვის საფუძველზე. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნაში, მითითებულ უნდა იქნეს მეორე ეტაპის განსახორციელებლად საჭირო თანხა, დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა. თანხის გადარიცხვა განხორციელდება მიმღების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნიდან 2 (ორი) კვირის ვადაში.

3.6. გრანტის მიმღების მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ფინანსური და პროგრამული ანგარიშის შესწავლის საფუძველზე, მონიტორინგის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფი ამზადებს წერილობით დასკვნას საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესულების შესახებ, რომელსაც წარუდგენს საგრანტო კომისიას. კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.7 გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრების აუთვისებლობის/არამიზნობრივად ათვისების შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში გრანტის გამცემს დაუბრუნოს აუთვისებელი/არამიზნობრივად დახარჯული თანხა, გრანტის გამცემის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია პირველ ეტაპზე დარჩენილი-აუთვისებელი თანხები გამოყენებულ იქნეს მეორე ეტაპისთვის.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. გრანტის მიმღები ვალდებულია:

4.1.1. საგრანტო თანხა გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებაში მოცემული მიზნების (დანართი №2.1), ხელშეკრულებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმისა (დანართი №2.2) და ბიუჯეტის (დანართი №2.3) შესაბამისად;

4.1.2. განახორციელოს დანართი №2.1-ით გათვალისწინებული აქტივობები ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან *(2024 წლის_____) ___ (____) თვის ვადაში;*

4.1.3. გრანტის გამცემს წარუდგინოს მიმდინარე და საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშები დანართი №2.4-ის შესაბამისად წერილობითი ფორმით, მატერიალური სახით, ფოსტის მეშვეობით, ან საგრანტო კომისიის ან გრანტის გამცემის მიერ მითითებული სხვა ფორმით;

4.1.4. შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში პროექტის დასრულების შემდეგ არსებული გამოუყენებელი თანხა დაუბრუნოს გრანტის გამცემს მის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე, თუ ხელშეკრულებაში ცვლილებები არ შევა ორივე მხარის თანხმობით;

4.1.5. ხელშეკრულების ფარგლებში დასამზადებელი ვიზუალური პროდუქტების შინაარსი და დიზაინი, ასევე აქტივობების განხორციელების პროცესში მის განხორციელებასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული საკითხები, რომელსაც არ ითვალისწინებს ეს ხელშეკრულება, გრანტის გამცემს შეუთანხმოს წერილობითი ფორმით;

4.1.6. საგრანტო პროგრამის ფარგლებში დამზადებული საინფორმაციო მასალა და სხვა ინტელექტუალური პროდუქტი გადასცეს გრანტის გამცემს;

4.1.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების/აქტივობების განხორციელების შეფერხების შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს გრანტის გამცემს;

4.1.8. უზრუნველყოს ხელშეკრულების ფინანსური და პროგრამული დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა გრანტის გამცემისათვის პროექტის განხორციელების პერიოდში და მისი დასრულებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

4.1.9. პროექტი განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ადამიანური რესურსის ჩართულობით და მასში ნებისმიერი ცვლილება წინასწარ შეუთანხმოს გრანტის გამცემს.

4.1.10. გრანტის გამცემს, შეუთანხმოს ყველა ის კრიტერიუმი და პროცედურები, რომელიც დაკავშირებულია სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის შერჩევასთან დაკავშირებით;

4.1.11. არ გაამჟღავნოს პროექტის ფარგლებში მიღებული ბენეფიციარების შესახებ პერსონალური მონაცემები და უზრუნველყოს მათი დაცულობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4.2. გრანტის მიმღებს უფლება აქვს:

4.2.1. გრანტის გამცემს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა საგრანტო თანხის დროული გადარიცხვის შესახებ;

4.2.2. გრანტის გამცემისგან მიიღოს კონსულტაციები პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს პროექტის მიზნების უკეთ მიღწევას;

4.2.3. საჭიროებისამებრ, გრანტის გამცემთან შეთანხმებით, საგრანტო თანხის 10%-ის ფარგლებში გადაანაწილოს თანხები ბიუჯეტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად. ამასთან, გრანტის გამცემთან შეთანხმებით, შესაძლებელია პროექტის ბიუჯეტის ფორმას დაემატოს/მოაკლდეს ქვემუხლები პროექტის მიზნებიდან გამომდინარე საგრანტო თანხის ფარგლებში.

4.2.4. პროექტის მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად შესასრულებლად, გრანტის გამცემს მოსთხოვოს პროექტის ვადის გაგრძელება გონივრული ვადით. ვადის გაგრძელება არ წარმოშობს დამატებით ფინანსურ ვალდებულებას გრანტის გამცემისთვის. გრანტის მიმღებს უფლება აქვს, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

4.3. გრანტის გამცემი ვალდებულია:

4.3.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ამავე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს თანხის დროული გადარიცხვა გრანტის მიმღების საბანკო ანგარიშ(ებ)ზე;

4.3.2. გრანტის მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.4. გრანტის გამცემს უფლება აქვს:

4.4.1. შეამოწმოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობა გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის გარეშე;

4.4.2. გრანტის მიმღებს მოსთხოვოს საგრანტო წინადადების შესრულების პერიოდული და საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიში, დანართი №2.4-ის პირობების დაცვით;

4.4.3. გრანტის მიმღებს მოსთხოვოს გადარიცხული საგრანტო თანხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.4.4. განახორციელოს პროექტის მონიტორინგი ანგარიშგების მასალების, საველე ვიზიტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციისა და გრანტის გამცემის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;

4.4.5. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, გრანტის მიმღებს გაუწიოს რეკომენდაცია (სამუშაოს შესრულების/მომსახურების ალტერნატიული მეთოდის შეთავაზება), რომელიც ხელს შეუწყობს მიზნების უკეთ მიღწევას;

4.4.6. პროექტის საუკეთესო მიზნებიდან გამომდინარე, გაუგრძელოს გრანტის მიმღებს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული პროექტის ვადა, რაც არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს გრანტის გამცემისათვის.

4.4.7. გრანტის მიმღების მიერ საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშის მიღების შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გრანტის მიმღებისგან მოითხოვოს გამოუყენებელი თანხის უკან დაბრუნება მის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე.

მუხლი 5. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

5.1. გრანტის მიმღები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს დამოუკიდებლად; მის საქმიანობაში გრანტის გამცემის ჩარევა დაუშვებელია.

5.2. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევად არ ითვლება „საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომა - საგრანტო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2024 წლის 02 ივლისის №23 ბრძანებით დამტკიცებული წესით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგისა და შესაბამისი მოქმედებების განხორციელება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

6.1. გრანტის გამცემს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ გრანტის მიმღები:

6.1.1. არამიზნობრივად იყენებს თანხებს - ცალკეული აქტივობები ან/და გადაწყვეტილებები არ შეესაბამება პროექტის მიზნებს ან ეწინააღმდეგება პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმას;

6.1.2. არ ასრულებს ან არასათანადოდ ასრულებს საგრანტო წინადადებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამის თაობაზე ეცნობა ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

6.1.3. სამართლებრივი სტატუსის შეცვლის ან სხვა არსებითი გარემოების გამო აღარ შესწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების უნარი;

6.1.4. გრანტის მიმღები უხეშად არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, რა დროსაც გრანტის გამცემი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების გარეშეც, თუ ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება საგრანტო პროგრამის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, რეპუტაციული რისკების თავიდან ასარიდებლად;

6.1.5. არსებობს სხვა ისეთი გარემოება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების შესრულებას და საგრანტო პროგრამის წარმატებით განხორციელებას;

6.1.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2. ხელშეკრულების 6.1.1 და 6.1.2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გრანტის გამცემი დაუყოვნებლივ აფრთხილებს გრანტის მიმღებს წერილით, რომელშიც მიეთითება ხარვეზის/დარღვევის შინაარსისა და მისი აღმოფხვრის ვადის შესახებ.

6.3. თუ გრანტის მიმღები არ აღმოფხვრის წერილში მოცემულ ხარვეზს/დარღვევას მასში მითითებულ ვადაში, გრანტის გამცემს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

6.4. დარღვევის მითითებულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში და ხელშეკრულების შეწყვეტისას გრანტის გამცემი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებს მოსთხოვოს პროექტის განხორციელების განმავლობაში გადარიცხული არამიზნობრივად გამოყენებული თანხის უკან დაბრუნება მის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე შეტყობინების გაგზავნიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში.

6.5. ხელშეკრულების 6.1 პუნქტის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა გრანტის გამცემს უნდა დაუბრუნოს იმ მომენტისათვის მიღებული, მაგრამ გამოუყენებელი თანხა გრანტის გამცემის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.6. ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში, თუ ეს დაკავშირებულია 6.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევასთან, გრანტის გამცემს უფლება აქვს, მოითხოვოს არამიზნობრივად გამოყენებული თანხის უკან დაბრუნება მის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე 1 (ერთი) კვირის ვადაში და ხელშეკრულების გაგრძელება მისი პირობების შესაბამისად.

6.7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებულია გადასცეს სრული ინფორმაცია გრანტის გამცემს, რომელიც მის მიერ იქნა მოპოვებული ამ ხელშეკრულების საფუძველზე საგრანტო პროგრამის განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, გრანტის გამცემზე გადმოდის ყველა ის მოთხოვნა, რომელიც წარმოეშვა გრანტის მიმღებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე საგრანტო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში გრანტის გამცემი უფლებამოსილია მოითხოვოს მესამე პირებისაგან შესრულების მიღება, ასევე მხარედ ხელშეკრულებაში გრანტის მიმღების ჩანაცვლება.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. თუ რომელიმე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელი ეშლება, ვერ ასრულებს ან აგვიანებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ეს არ უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მხარე უნდა განთავისუფლდეს ამ ვალდებულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის ვადის განმავლობაში იმ პირობით, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან დაგვიანება პირდაპირ კავშირშია ფორს-მაჟორულ გარემოებებთან.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოქმნისას მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ მსგავსი სიტუაციის სწრაფად აღმოსაფხვრელად. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულება შეუძლებელი ხდება ასეთი გარემოებების დადგომიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს ეძლევა უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, რის თაობაზეც აცნობებს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებული იქნება, დააბრუნოს მიღებული გრანტის გამოუყენებელი ნაწილი. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ სათანადო წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე.

7.3. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ფორს-მაჟორულ გარემოებებად მიიჩნევა სტიქიური მოვლენები, სამოქალაქო არეულობა, ხანძარი, საომარი მოქმედებები და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც სცილდება ხელშეკრულების მხარეების კონტროლის ფარგლებს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი კანონმდებლობა

8.1. ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შემთხვევაში, მხარეები ეცდებიან მის მოგვარებას მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით.

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა უფლება-მოვალეობების სრულად განხორციელებამდე.

9.2. ხელშეკრულებასა და მის დანართებში მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება წერილობით და იქნება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

9.3. ხელშეკრულებაში ყველა ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ მისი წერილობითი ფორმით გაფორმების შემთხვევაში, რომელიც ხელმოწერით დამოწმებულია მხარეთა მიერ.

9.4. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

9.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე იურიდიულად თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად თითოეული მხარისთვის და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.6. გრანტის გამცემი უფლებამოსილია განუსაზღვროს გრანტის მიმღებს ის პროცედურები, რომელთა დაცვითაც უნდა განხორციელდეს კომუნიკაცია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (გარდა იმ სახის ინფორმაციის გაცვლისა, რომლის მიწოდების ფორმაც სპეციფიკურად განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით).

მხარეთა ხელმოწერები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	_____ __ ა(ა)იპ/ფიზიკური პირი
საიდენტიფიკაციო კოდი:	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
მისამართი: ინგოროყვას ქ.7, თბილისი 0114, საქართველო	მისამართი:
თარიღი: 0000 წლის ___ _____	თარიღი: 0000 წლის ___ _____
ხელმოწერა:	ხელმოწერა: